პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი სამშაბათი 27 თებერვალი № 49 (17394) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

„წითელი შაბათოობის“ შესახებ

ენგურჰესა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებმა „წითელი შაბათოობა“ შრომითი რეკორდების დღედ გამოაცხადეს

იქნება რეკორდები

„ალაზანმშენის“, „სპეციალურენერგომონტაჟის“, ძალური კვანძის მშენებლობის სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოებში გამართულ მიტინგებზე გამოსვლისას მოწინავე გვირაბგამყვანებმა, მებეტონეებმა, მემონტაჟეებმა კ. კვარაცხელიამ, ნ. აკობიამ და ვ. პეტუხოვმა მხარი დაუჭირეს მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას 21 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. მებეტონეებმა, მაგალითად, გადაწყვიტეს თაღოვანი კაშხალის ტანში ჩასხან 200 კუბური მეტრით მეტი ბეტონი, ვიდრე გასული წლის საუკეთესო დღეებში.

ენგურჰესის მშენებლობაზე ამ დღეს დაუსაქმებელი ათასზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი მონაწილეობას მიიღებს მომავალი ხუდონჰესის მახლობლად დაბა იდლიანის კეთილმოწყობაში, ენგურზე ხიდის გადებაში.

შესრულდება ჯვარზენის, საბერიოსა და სხვა მუშათა დაბების კეთილმოწყობის სამუშაოები. ახალგაზრდობა მონაწილეობას მიიღებს ჯვარზენის სპორტული ქალაქის მშენებლობაში.

დაზოგილი მასალებით

„განვამტკიცოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი!“, „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია!“, „სამშობლოს — დამკვრელური შრომა!“, „21 აპრილს ,ყველანი შაბათობაზე!“ — ასეთი ლოზუნგები გამოიკრა ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის სამშენებლო უბნებზე, რომლის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას — 21 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 109-წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

ტრესტის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 21 აპრილს იმუშაონ წლის დამდეგიდან დაზოგილი სამშენი მასალებით.

(საქინფორმი).

ესდღეიბი სოფლად

ერთგულნი ინტერნაციონალიზმისა

ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ საგარეჯოელი მევენახეები. ვენახების ძირითადი ფართობი მოხნულია, შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები. მიმდინარეობს ვენახების ბარვა.

სწრაფი ტემპით შენდება ვენახები. წლეულს ახალშენი დაგეგმილი 600-ის ნაცვლად 700 ჰექტარს დაიკავებს.

ვენახებს განსაკუთრებით კარგად უვლიან ნინოწმინდის კოლმეურნეობის, მანავის და საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები. მარტო ნინოწმინდელები წელს შპალერზე გადაიყვანენ 100 ჰექტარ ახალშენ ვენახს. აქ შეუფერხებლივ მუშაობენ სატრაქტორო აგრეგატები, რომელთაც გამოცდილი მექანიზატორები ბ. დეკანოზიშვილი და გ. გაგნიაშვილი მართავენ.

ვაზს ზრუნვას არ აკლებენ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეზვრეები — ვასილ გზირიშვილი, ნიკოლოზ გოგიტაშვილი, ლადო ესიაშვილი.

მანაველმა მევენახეებმა წლეულს დაგეგმილი 80-ის ნაცვლად 95 — ჰექტარზე გააშენეს ვენახი. ზვრებში დღენიადაგ ხალისით და მონდომებით შრომობენ იოსებ და ანეტა როსტიაშვილები, სანდრო და ეთერ კირაკოზიშვილები, ილენე და რუსუდან გრძელიშვილები.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სიტყვას არ ტეხენ

აბაშის რაიონის სოფელ ნოჩიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გ. კაკბარაია) ზამთარშიაც შეინარჩუნეს წველადობის მაღალი დონე — იანვარში 3 ტონაზე მეტი რძე მიიღეს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. მწველავები მ. ჩაჩავა, ლ. ბოკუჩავა და სხვები თებერვლის ამ დღეებში წველადობის ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფერმა უზრუნველყოფილია მტკიცე საკვები ბაზით და მთლიანად მექანიზებულია.

ივ. თოფურია,
გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქტორის მოადგილე.

მიწა ჩვენი მარჩენალი

საქართველო ზედიზედ მეექვსედ ზეიმობს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებას. ამ სასახელო და საამაყო წარმატების მოსაპოვებლად სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებთან ერთად ხუთწლედის მესამე წელს თავდადებით გაისარჯნენ სოფლის მეურნეობის მშრომელები.

შარშანდელი რეკორდული მოსავალი იმას მოწმობს, რომ ბოლო სამ წელიწადში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური წარმოება წინა ხუთწლედის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 37,1 პროცენტით გაიზარდა..

ეს დიდი ნაბიჯია, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებით, ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან აქტიური ბრძოლით არის მიღწეული, მაგრამ აღნიშნული წარმატებები პირდაპირი შედეგია იმ დაუცხრომელი მუშაობისა, რომელიც ბოლო წლებში ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეზერვების სწრაფი ამოქმედებისათვის.

ასეთ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან რეზერვად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ახალი და ნასვენი მიწების დაჩქარებული ათვისება, ნიადაგების ნაყოფიერების გადიდება მიაჩნია.

მართალია, თავისი მთითა და ბარით პატარაა ჩვენი რესპუბლიკა, მაგრამ მასაც აქვს თავისი ყამირი. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, ინტენსიური მებაღეობის, მევენახეობის და მეხოსტნეობის ზონაში დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებს 200 ათას ჰექტარამდე უჭირავს. ამ არსებითად მიგდებული სიმდიდრის ათვისება კი თავისი მნიშვნელობით კოლხეთის დაშრობის პრობლემას თანაბარია.

მიწის უნარიანი გამოყენებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისათვის ზრუნვა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ პირველი ნაბიჯებიდანვე დაიწყო.

ეს ზრუნვა კანონმდებლობით განამტკიცა ჩვენმა კონსტიტუციამ, რომლის საფუძველზეც ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სულ უფრო მეტი რაოდენობით წარმოებისა და მათზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

„მიწა ხალხის ფასდაუდებელი სიმდიდრეა. და ჩვენ მოვალენი ვართ გავუფრთხილდეთ მას, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი უკუგება თითოეულ ჰექტარზე“. ამ ხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითების ხორცშესხმის თვალსაჩინო მაგალითებს გვიჩვენებენ საგარეჯოს, ზუგდიდის, გურჯაანის და სხვა რაიონების მხვნელ-მთესველები, რომლებმაც მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში ახალი მიწების ათვისების. მათი გასარწყავების, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების, ნიადაგების მოკირიანების და მოთაბაშირების გზით ათასობით ჰექტარი მიწა ჩააყენეს ხალხის სამსახურში.

თუმცა მიწის რაციონალური გამოყენების, მისი ნაყოფიერების ამაღლების დიდ ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას ყველგან ჯეროვნად ვერ აფასებენ. ბოლო ორი წელია ახალი და ნასვენი მიწების ათვისების გეგმებს არ ასრულებენ ახალქალაქის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, ონის რაიონები. 1978 წელს კი ეს გეგმები ჩაშალეს ლაგოდეხის, ქარელის, სამტრედიის, დუშეთის რაიონებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში ხელუხლებელი, მიგდებულია არა მარტო ასათვისებელი, არამედ სახნავი მიწებიც კი. მაგალითად, ახალციხის რაიონის პამაჯის, მინაძის, სხვილისის საბჭოთა მეურნეობებში, ვალეს და მუხნის კოლმეურნეობებში შარშან სახნავად აღრიცხული 320 ჰექტარი სავარგული დაუმუშავებელი და დაუთესავი დატოვეს. ამ სოფლების მცხოვრებნი კი სამუშაოს რესპუბლიკის გარეთ ეძებენ.

ეს იმას მოწმობს, რომ აღნიშნული მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები შეურიგებლად არ იბრძვიან მუქთახორების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც სოფლის სიკეთით სარგებლობს და მისთვის, როგორც იტყვიან, თითსაც არ ანძრევს.

რესპუბლიკაში ახალი და ნასვენი მიწების ათვისების, ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების მასშტაბის დღითი დღე ზრდის პირობებში, უწინარეს ყოვლისა, მთავარია ეფექტიანად გამოიყენოთ ახალათვისებული, გაჯანსაღებული სავარგულის თითოეული ჰექტარი, სარეკორდო მოსავალი მოვიწიოთ მთელ მელიორირებულ მინდორში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენში დაშრობილი და გასარწყავებული მიწების პროდუქტიულობა შესამჩნევად ჩამორჩება ამ საქმეში დაბანდებული სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დონეს.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ წლების მანძილზე რესპუბლიკაში სარწყავი მიწების თითოეულ ჰექტარზე მეტად მცირე მოსავალს ვღებულობთ. შარშან კი ასეთი ფართობების თითოეულ ჰექტარზე საშუალო 18,8 ცენტნერი მარცვლეულია მიღებული, რაც 0,2 ცენტნერით ნაკლებია საერთო მოსავლიანობის მაჩვენებელზე.

სარწყავი სავარგულების უყაირათო გამოყენება მით უფრო შეუწყნარებელია, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ამოცანად დასახა მეათე ხუთწლედის დამლევს სარწყავი მიწების თითოეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ სულ ცოტა 40 ცენტნერი მარცვლეული, 250 ცენტნერი ბოსტნეული და კარტოფილი, 80 ცენტნერი ყურძენი და სხვ.

ამ მიჯნების დასაძლევად პარტიულმა კომიტეტებმა კონტროლი უნდა დაუწესონ იმას, რომ არ ირღვეოდეს აგროტექნიკა, გამართულად მუშაობდნენ წყალთა მეურნეობების სისტემები და მეურნეობებს ახალათვისებული, გასარწყავებული მიწები სამუშაოთა ხარისხის გარანტიით ბარდებოდეს.

სულ უფრო მწვავედ იგრძნობა იმის აუცილებლობა, რომ სასოფლო-სამეურნეო და წყალთა მეურნეობის ორგანოებმა წყალსამეურნეო მშენებლობა განახორციელონ მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების ღონისძიებებთან კომპლექსურად, ამამაღლონ სპეციალისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის; სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და საპროექტო ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა. გარდაქმნან მუშაობა ახალი და ნასვენი მიწების ხალხის სამსახურში ჩაყენებისთვის, ათვისებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაციონალური განლაგების სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად.

რამდენიმე წლის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწების კანონმდებლობის საფუძვლებმა“, აგრეთვე კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებამ, დიდად შეუწყო ხელი მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. თუმცა მიწათსარგებლობის წესებს ყველგან როდი იცავენ. მაგალითად, თეჩოლის რაიონის ასფალტის ქარხანამ ტუშურების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე უნებართვოდ დაიკავა ფართობი. ცხინვალის, და თიანეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში გვხვდება მიწების განიავების ფაქტები.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია პრინციპულად იმსჯელონ თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, აამაღლონ მეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის მკაცრი დაცვისათვის.

ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ მას არ უყვარს მიწა — სიცოცხლისა და ხალხის კეთილდღეობის უშრეტი წყარო, მაგრამ განა თითოეულმა ჩვენგანმა იცოდა მიწის — ჩვენი მარჩენლის—დაცვა-გაჯანსაღებისათვის? საქართველოში 400 ათასი ჰექტარი მიწა ეროზირებულია და ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო სტიქიურ უბედურებებს, არამედ ადამიანსაც, რომელსაც შეეძლო ნიადაგის გადასარჩენად გაეშენებინა მინდორსაცავი ნარგავები, მოეტყეევებინა და შეემაგრებინა ქვიშრობები, ხევები, ფლატეები, გზა გადაეღობა ღვარცოფებისათვის.

მიწის გონივრული გამოყენება, მისი ნაყოფიერების გადიდება ყველა ჩვენგანის საბატო საქმეა. მთავარია, გვახსოვდეს: მიწა ხალხის სიმდიდრეა და მისი თითოეული გოჯის უაირათიან გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება.



მიფრინავს „სოიუზ-32“ კოსმოსური ხომალდი

საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1979 წლის 25 თებერვალს მოსკოვის დროით 14 საათსა და 54 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ-32“ კოსმოსური ხომალდი.

კოსმოსურ ხომალდს მართავს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი და ბორტინჟინერი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი.

„სოიუზ-32“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეპირაპირება „სალუტ-6“ სადგურთან.

იმის გამო, რომ სადგური დაახლოებით წელიწად-ნახევარია კოსმოსში იმყოფება, ხომალდის ეკიპაჟმა დამატებით უნდა შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა პილოტირებული რეჟიმით მუშაობის დროს სადგურის სისტემებისა და აპარატურის შემდგომი მოქმედება.

ამხანაგები ლიახოვი და რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-32“ კოსმოსური ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ეკიპაჟი შეუდგა ფრენის პროგრამის შესრულებას.

ფრენის მართვის ცენტრი, 26 თებერვალი. (საკდესი). კოსმონავტების ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის მეორე სამუშაო დღე დაიწყო დღეს 8 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით.

ფრენის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ამოწმებენ „სოიუზ-32“ ხომალდის საბორტო სისტემებს.

ხომალდის ორბიტის პარამეტრები მოძრაობის ტრაექტორიის გუშინდელი კორექციის შემდეგ შეადგენს:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 288 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 244 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 89,6 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები ლიახოვი და რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.



დღეები ბიოგრაფიიდან

პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი

„სოიუზ-32“ ხომალდის მეთაური ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი დაიბადა 1941 წლის 20 ივლისს ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ ანტრაციტში.

1964 წელს ხარკოვის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში. სამსახურის დროს აითვისა რამდენიმე ტიპის თვითმფრინავი. იფრინა 1.300 საათზე მეტი. აქვს „პირველი კლასის სამხედრო მფრინავისა“ და „მესამე კლასის გამომცდელი მფრინავის“ კვალიფიკაცია.

ვ. ა. ლიახოვი 1963 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია.

1967 წელს ვლადიმერ ათანასეს ძე ჩაირიცხა კოსმონავტთა რაზმში. გაიარა კოსმოსური ფრენისათვის მომზადების სრული კურსი. 1975 წელს შეიყვანეს „სოიუზ-“ კოსმოსური ხომალდთ და „სალუტ-“ ორბიტული სადგურით ფრენისათვის უშუალო მომზადების ჯგუფში ეკიპაჟის მეთაურად.

1975 წელს კოსმონავტთა მოსამზადებელ ცენტრში მუშაობას მოუწყვეტლივ ვ. ა. ლიახოვმა დაამთავრა ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი

„სოიუზ-32“ კოსმოსური ხომალდის ბორტინჟინერი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი დაიბადა 1939 წლის 16 აგვისტოს ამურის კომსომოლსკში.

1961 წელს, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დამთავრების შემდეგ, ვ. ვ. რიუმინი შევიდა მოსკოვის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვალერი ვიქტორის ძე მუშაობდა საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ტექნიკურად განათლებულმა და ინიციატივიანმა ინჟინერმა, ამასთან მონაწილეობდა კოსმოსური ტექნიკის ახალი ნიმუშების შემუშავებასა და გამოცდაში.

ვ. ვ. რიუმინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1972 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ვალერი ვიქტორის ძე ჩაირიცხა 1973 წელს, გაიარა „სოიუზის“ კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ“ ორბიტული სადგურებით ფრენისათვის მომზადების სრული კურსი.

ვ. ვ. რიუმინი აქტიურად მონაწილეობდა პილოტირებული კოსმოსური ხომალდებისა და ორბიტული სადგურების ფრენის მართვაში.

ვალერი ვიქტორის ძე პირველად კოსმოსში გაფრინდა 1977 წლის ოქტომბერში, იგი „სოიუზ-25“ ხომალდის ბორტინჟინერი იყო.

სახალხო კონტროლი მოქმედებს

როგორ „ვუმკურნალოთ“ ვენახებს დასავლეთ საქართველოს რაიონებში, რა უნდა გაკეთდეს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის?

ამ კითხვებზე პასუხი ზუსტად არის განსაზღვრული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში. მაგრამ, როგორც ცხადყო საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ, ამ პროგრამის განხორციელებას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აბრკოლებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას. ამასთან დაკავშირებით კომიტეტმა შეიმუშავა ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობისადმი მუდმივი კონტროლის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც დაამტკიცა კომიტეტის მორიგმა სხდომამ. აქ დამსწრე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა უშენიშვნოდ მიიღეს იგი.

დღის წესრიგში სხვა საკითხებიც იდგა. მაგალითად, მკაცრი კრიტიკა გამოითქვა საქართველოს „სახსამთოტექზედამხედველობის“ კომიტეტის ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც შეასუსტეს მათს კონტროლდაქვემდებარებულ მრეწველობის დარგებში სამუშაოთა უსაფრთხოებისადმი მეთვალყურეობა. ამის შედეგად რესპუბლიკის ზოგიერთ სამთამადნო საწარმოებში რამდენიმე უბედური შემთხვევა მოხდა. ამ კომიტეტის საქმიანობას წინათაც ახასიათებდა ნაკლოვანებანი, რომლებიც ბევრჯერ აღენიშნავთ. მაგრამ სათანადო რეაქცია არ მოჰყოლია, კომიტეტი ძველებურად მუშაობდა.

რაიონული სამთოტექნიკური ინსპექციების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კონტროლის შესუსტებაში, მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ. რაც შეეხება „სახსამთოტექზედამხედველობის“ კომიტეტის თავმჯდომარის ა. გამხარაშვილისა და მთავარი ინჟინრის ბ. მიქაშავიძის ამავე თანამდებობებზე დატოვების საკითხს, იგი განსაბილველად გადაეცა ზემდგომ ორგანოებს.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის სასტუმრო მეურნეობის შემოწმების შედეგები, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ ტრესტის № 3 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში საშენ მასალათა დატაკების, აგრეთვე საქართველოს უსინთლოთა საზოგადოების სასწავლო-სამრეწველო საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმისადმი საზოგადოების პრეზიდიუმის ხელმძღვანელობის გულგრილობის ფაქტები. განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამხ. შევარდნაძემ აღნიშნა განხილული საკითხების დიდი მნიშვნელობა და თქვა, რომ კომიტეტის მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს შესრულების კონტროლი და შემოწმება. იგი სამეურნეო ფუნქციების მქონე ყველა სამსახურის საქმიანობის მაკოორდინირებელი ორგანო უნდა იყოს.

ამხ. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ სახალხო კონტროლის კომიტეტის ყოველი დადგენილება დასაბუთებული უნდა იყოს და ეყრდნობოდეს ყველა ფაქტის გულდასმით შემოწმებას, არ უნდა დაისაჯოს არც ერთი უდანაშაულო, და სასჯელი არ უნდა ასცდეს არც ერთ სახელგატეხილ მოქმაკს.

შემოწმება რომ სრული და ობიექტური იყოს, სახალხო კონტროლიორები უფრო ხშირად უნდა იზიდავდნენ ამისათვის რესპუბლიკის საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს. საჭიროა აგრეთვე გავაქტიუროთ სახალხო კონტროლიორების მუშაობა ადგილებზე. მეტი შეტევითი, ქმედითი ხასიათი მივანიჭოთ მას, რათა ჩანასახშივე აღიკვეთოს პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ცხოვრების ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევა.

კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდა ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

(საქინფორმი).

„წითელი შაბათოობის“ შესახებ ერთგულნი ინტერნაციონალიზმისა

... ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ მ. ა. მრევლიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით მწერალი მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 26 თებერვალი.

რევოლუციის მებრძოლი

ნ. კრუპსკაიას დაბადების 110-ე წლისთავი

110 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, პროფესიონალი რევოლუციონერი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია (1869-1939 წ.), რომლის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული დიდ ლენინთან.

ნ. კ. კრუპსკაიამ მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა ბრძოლას პარტიისა და ხალხის საქმისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის.

ძნელი და დიდებული უწოდა მის ცხოვრებას ა. ვ. გორკიმ. რევოლუციამდელ წლებში იგი მდივნის როლს ასრულებდა ყველა ცენტრალურ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, აქტიურად მონაწილეობდა გიგანტურ მუშაობაში, რომელსაც ვ. ი. ლენინი უწოდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდან გარდაცვალებამდე კრუპსკაია დიდ პარტიულ და სახელმწიფო მუშაობას ეწეოდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განსახორციელებლად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მოღვაწეობას სახალხო განათლების, მასების პოლიტიკური განათლებისა და კომუნისტური აღზრდის ორგანიზაციის საქმეში.

ნ. კ. კრუპსკაიას ცხოვრება შთამაგონებელი მაგალითია სოციალიზმისა და კომუნიზმის ყველა მებრძოლისათვის.

სურათზე: ნ. კ. კრუპსკაიას სხვადასხვა დროს გადაღებული შრომები.

ვ. კოზმინის ფოტო (საკდესის ფოტოკორესპ.).

მუვიდობის სადარაჯოზე

ამომრჩეველთა შეხვედრა
დ. თ. უსტინოვთან

23 თებერვალს მოსკოვის კონსერვატორიის დარბაზში „მინსკში“ დედაქალაქის კუნცევოს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს დმიტრი თეოდორეს ძე უსტინოვს.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ა. თ. ბელოვმა ილაპარაკა. დ. თ. უსტინოვის ცხოვრების გზაზე და მოუწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა თქვეს, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველებმა თქვეს, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას მისცემენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც ამომრჩეველები გულთბილად შეხვდნენ. წლევანდელი არჩევნები, აღნიშნა მან, შეიძლება ითქვას, საიუბილეოა. ჩვენ ხომ უნდა ავირჩიოთ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭო. ათი მოწვევა — ეს არის ათი საფეხური ახალი საზოგადოების აღმშენებლობის გზაზე. ისტორიის თვალსაზრისით, პირველ საფეხურს არცთუ ისე დიდი დრო გვაშორებს. მაგრამ ამ ხნის მანძილზე ჩვენმა სამშობლომ არნახულად იცვალა სახე.

ამჟამად მიღწეული მწვერვალებიდან განსაკუთრებით ყარგად ჩანს როგორც საბჭოთის მიერ განვლილი გზის სიდიადე, ისე მის წინაშე დასახული პერსპექტივებიც. ჩვენი დღევანდელი საქმეებისა და გეგმების მასშტაბი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება შევადაროთ იმას, რაც დასახული იყო, ვთქვათ, ორი-სამი ათეული წლის წინანდელ საარჩევნო პროგრამებში, მაგრამ თავიანთი მთავარი ამოცანებით ისინი შეადგენენ ერთ მთლიანობას, განაგრძობენ და ავითარებენ ერთმანეთს. ყველა წინასაარჩევნო პროგრამას საფუძვლად უდევს პარტიის უცვლელი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ძლიერების განმტკიცებას, მისი უშიშროების სიმედოო უზრუნველყოფას, ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას — ეს არის კომუნიზმის აშენების კურსი.

დ. თ. უსტინოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როგორც სამნაო პოლიტიკა, ისე საერთაშორისო ურთიერთობა, ეყრდნობა მთელი საბჭოთა ხალხის განუხრელ მხარდაჭერას. მისი წარმატებანი, თქვა მან, განუხრელადაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაძაბულ და მიზანმიმართულ მუშაობასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის შინაარსს თანამედროვე ეტაპზე განაზღვრავს პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული და XXV ყრილობის მიერ განვითარებული მშვიდობის პროგრამა. იგი მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობისათვის ხელსაყრელი მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფას, სოციალისტური თანამეგობრობის, ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების თანამიმდევრული მეცადინეობის მეოხებით ახლა ობიექტურ რეალობად იქცა დაძაბულობის შენელება. მაგრამ მისი მიღწევების განმტკიცების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრების გზაზე გადადგმული თითოეული ნაბიჯი მოითხოვს უდიდეს გამძლეობას, შორსმჭვრეტელობას, სიმტკიცეს. რეაქციის ძალებს ჯერ კიდევ აქვთ გავლენა. ისინი ყოველგვარ დაბრკოლებებს უქმნიან დაძაბულობის შენელებას, ცდილობენ გამაწვავონ საერთაშორისო ვითარება, ზრდიან გამალებულ შეიარაღებას, აღვივებენ სამხედრო დაძაბულობის კერებს.

ყველაზე პირწავარდნილ რეაქციასთან ერთად მოქმედებენ პეკინის ახლანდელი მმართველები. თავისი ჰეგემონისტური პოლიტიკის ნამდვილი არსი პეკინმა მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე მუხანათური თავდასხმით.

საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, რომელიც ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე და თანამიმდევრულ ინტერნაციონალურ პოლიტიკას, მოცემულია ჩინეთის რეაქციული მმართველების აგრესიული მოქმედების სავსებით გარკვეული შეფასება. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის, თითოეულის აზრებს, გრძნობებს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, და ჩინელი აგრესორების სერიოზული გაფრთხილებაა. მსოფლიოს მტრების ხრიკებს საბჭოთა კავშირი უპირისპირებს დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების აქტიურ ხაზს. ასეთი ხაზი უთუოდ შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, განაცხადა დ. თ. უსტინოვმა, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა მაღალ დონეზეა, რაც უზრუნველყოფს პარტიისა და ხალხის მიერ დასახული ყოველგვარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ზედმეტი არ იქნება ეს მოვაგონოთ ყველას, ვისაც უყვარს ცეკვასთან თამაში, ვინც იარალით იმუქრება, სადაც უნდა იყვნენ ისინი — დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალის მთავარი წყარო, საბჭოთა სამხედრო მშენებლობის უმაღლესი პრინციპი, საფუძველთა საფუძველია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ქვეყნის თავდაცვის გამტკიცების, შეიარაღებული ძალების განვითარებისა და დახვეწის დარგში ამოცანების მიზანმიმართული კომპლექსური გადაწყვეტისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმ მუდმივ ყურადღებას, რომელაც მათ მიმართ იჩენენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დეპუტატობის კანდიდატმა მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს მაღალი ნდობისათვის და აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ამ ნდობის გასამართლებლად. (საკადისი).

დემოკრატია ხორციელდება

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. პ. გიორგაძესთან

23 თებერვალს გურჯაანის ნ. ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრში შეიკრიბნენ მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს მიხეილ კორფილეს ძე გიორგაძეს.

კრების პრეზიდიუმში დეპუტატობის კანდიდატთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზიანეთის კოლმეურნეობის „გამარჯვების“ მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჟ. დ. ციკრლია, გულრიფშის რაიონის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის დამფუძნებელი, ორგანიზაციის ბიუროს წევრობის კანდიდატი ბ. ვ. ადლეიბასთან

აფხაზეთის ს. ი. ჭაბნას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში № 671 სოხუმის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბორის ვიქტორის ძე ადლეიბას.

კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. ბ. მარშანიამ.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — აკუსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მ. მატანგინმა ილაპარაკა მისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ და მოუწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს — 4 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჟ. დ. ციკრლია, გულრიფშის რაიონის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. გ. აკოფიანი, ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ლესელაძის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ კოლმეურნე ლ. ა. მაზიკასი, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის საშუალო სკოლის პედაგოგი, სამეგ ხარისხის დიდების ორდენის კავალერი ი. თ. ვანაჩა, ლაკობის სახელობის შახტსამმართველოს ტყეარჩელის № 2 შახტის სამთოელი მუშა ვ. ა. უსანოვი, სტუდენტი რ. მ. ხაშიგი და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა ბ. ვ. ადლეიბამ, რომელაც გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა კოლექტივებს, რომლებმაც იგი დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, სასიხარულო მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, კიდევ ერთხელ დადასტურებს პარტიისა და ხალხის მონოლითობას, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებას. სიმბოლურია, რომ არჩევნების დღე ჩვენთან დამთხვა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავის

ოქტომბრის მზით აყვავებული

ამომრჩეველთა შეხვედრა ბ. ვ. ადლეიბასთან

აფხაზეთის ს. ი. ჭაბნას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში № 671 სოხუმის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბორის ვიქტორის ძე ადლეიბას.

კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. ბ. მარშანიამ.

დეპუტატობის კანდიდატმა ბ. ვ. ადლეიბამ, რომელაც გულთბილად შეხვდნენ ამომრჩეველები, ილაპარაკა მის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის პოსტზე და მოუწოდა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ბორჯომის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ი. კენკოშვილი, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. მ. ქორთუა, ახმეტის რაიონის ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა

დემოკრატიის ხორციელდება

ამომრჩეველთა შეხვედრა მ. პ. გიორგაძესთან

23 თებერვალს გურჯაანის ნ. ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრში შეიკრიბნენ მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს, ბატონ ვიქტორ ეროფეევს.

კრების პრეზიდიუმში დეპუტატობის კანდიდატთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზიანეთის კოლმეურნეობის „გამარჯვების“ მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჟ. დ. ციკრლია, გულრიფშის რაიონის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. ა. შლაპაშვილი, ყვარლის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე რ. ბ. შავგულიძე, საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლის პედაგოგი ა. გ. მღებრიშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ა. კობაძე, ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს ექიმი რ. მ. ბუსკაძე, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი მ. გ. ღვედაშვილი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მ. პ. გიორგაძემ, რომელაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან დიდი მადლობა გადაუხადა შრომითს კოლექტივებს, რომლებიც უკვე მეოთხედ ასახელებენ მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, და აღუთქვა, რომ კვლავაც მთელ ძალ-ღონეს მოახმარს პარტიის საქმეს, ხალხს სამსახურს, მის კეთილდღეობას.

ლაურეატი

ცნობილი გახდნენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატები. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რუსთაველის სახელობის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ბრიგოლ აბაშიძეს კომენტარი გაეკეთებინა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ამ მოვლენისათვის.

— რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიენიჭათ საქართველოს ლიტერატურის და ხელოვნების ღირსეულ წარმომადგენლებს,— თქვა გრიგოლ აბაშიძემ. — ამ მოვლენას წინ უძღვოდა დასახელებული კანდიდატურების ეროვნულ-ტად საყოველთაო-სახალხო განხილვა. რესპუბლიკური გაზეთები, ტელევიზია და რადიო ფართოდ აშუქებდნენ მაძიებელთა შემოქმედებას, დაწვრილებით ახასიათებდნენ ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, კინოსა და თეატრის დარგის ნამუშევრებს, მათი ავტორების შემოქმედებით გზას. ყოველივე ეს მოწმობს ღირსეულ კანდიდატთა შერჩევაში ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას.

ახალ ლაურეატებს შორისაა პოეტი **ფრიდონ ხალვაში**, რომელიც სათავეში უდგას საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას. სასიხარულოა, რომ ამ მაღალი ჯილდოს მინიჭება დაემთხვა ისეთ შესანიშნავ მოვლენას, როგორიც არის საქართველოსთან აჭარის შეერთების მე-100 წლისთავი. ფრიდონ ხალვაშმა შთაგონებულად უმღერა თავის შემოქმედებაში იმ დიდ გამარჯვებებს, რომლებიც აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. „ასი მზე დედის გულისა“ ეს არის აჭარის მრავალტანჯული მიწა-წყლის, საბჭოთა სამშობლოს ჰიმნი. პოეტის აღქმაში დედა და სამშობლო განუყოფელია. ამიტომ თავის ლექსებში იგი ქეშმარიტი შვილ ურ ი სიყვარულით უმღერის თითოეული ადამიანისათვის ამ წმიდა ცნებებს. კრებულში შესულ ლექსებში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა პოეტის განუმეორებელი ინდივიდუალობა, მისი ლირიკის ამაღლებული სწრაფვა. ისინი მოწმობენ პოეტის შემოქმედებით სიმწიფეს, მისი ლირიკის მაღალ მოქალაქეობრივობას.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემია სიკეთილის შემდეგ მიენიჭა საქართველოს სახალხო მხატვარს — ფუნჯის დიდოსტატს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სახვითი ხელოვნების ოსტატთა ახალი თაობის მზრუნველ აღმზრდელს **სერგო ჭობულაძეს**. ეს წოდება მას მიენიჭა უკანასკნელ წლებში შექმნილი ნამუშევრებისათვის. მაღალმა პროფესიონალიზმმა, უზადო ოსტატობამ, ხატვის ორიგინალურმა მანერამ სერგო ქობულაძეს სახელი და საყოველთაო აღიარება მოუხვეჭეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უბადლო ილუსტრაციები შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, შექსპირის ტრაგედიებისა.

თეატრალური ხელოვნების დარგში პრემია მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტს **ვერიკო ანჯაფარიძეს**. კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე ჰ. იბსენის პიესაში „მოჩვენებანი“ ფრუ ალვინგის სახის შექმნისათვის. თეატრალური კრიტიკის აზრით, ეს როლი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია შესანიშნავი მსახიობის ბიოგრაფიაში, რომლის მრავალი წლის მოღვაწეობა სცენაზე განუხრელად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და აღორძინებასთან. ეს დადგმა ჩვენი თეატრალური კულტურის დიდი მოვლენაა, რომელიც ახალი ძალით აკიაფდა ვერიკო ანჯაფარიძის ბრწყინვალე ნიჭი.

კინემატოგრაფიის დარგში დაჯილდოვდნენ მხატვრული ფილმი „ნატვრის ხის“ შემქმნელები („ქართული ფილმის“ წარმოება), დამდგმელი რეჟისორი **თენგიზ აბულაძე** და დამდგმელი ოპერატორი **ლომარ აბვლედიანი**.

ეს ფილმი, რომელმაც რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის პრემია მიიღო, შექმნილია გიორგი ლეონიძის მოთხრობების მოტივებზე. ამ მოთხრობების ეკრანზე ხორცშესხმა ღრმად კანონზომიერი იყო. რეჟისორმა არა მარტო გადაიღო ლიტერატურული პირველწყარო, არამედ შეამოწმა ლიტერატურული სახის ხორცშესხმაში კინემატოგრაფიული გამომსახველობის საშუალებანიც, თავის ფილმში რეჟისორი მსჯელობს ცხოვრების, მისი სირთულის, კეთილისა და ბოროტის ორთაბრძოლის შესახებ. ფილმი ყველაზე მკაფიოდ უჩვენებს იმ ჟანრულ გარდასახვებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში ქართული კინოს ერთ-ერთი შესანიშნავი ნიშან-თვისება გახდა. „ნატვრის ხემ“ სამართლიანად დაიკავა ერთ-ერთი ღირსეული ადგილი ქართულ კინემატოგრაფიაში.

რუსთაველის სახელობის პრემიით აღინიშნენ დამდგმელი რეჟისორი **სოხო ჩხაიძე** და დამდგმელი ოპერატორი **ირაკლი ონოფრიშვილი** სამსერიანი სატელევიზიო ფილმის „თუში მეცხვარის“ შექმნისათვის.

სამ საათზე მეტ ხანს გრძელდება კინოფოთრობა, და მაყურებელი ვერ ხედავს გარეგნულად რაიმე ეგზოტიკურს, ნაძალადევს, ფილმში მთელი ყურადღება ეთმობა ადამიანს. ავტორები შეეცადნენ მხატვრულად გამეორებინათ და ეკრანზე გამოეტანათ თითქმის დოკუმენტური სინამდვილე, შეძლეს გამოვლინებინათ ცხოვრების ღრმა მხარე, რასაც ესწრაფოდა და ესწრაფვის ქართული კინემატოგრაფი. ეს მხარეა მშრომელი ადამიანის, მიწის ადამიანის, გლეხის, მწყემსის ეთიკა. „თუში მეცხვარის“ სერიოზულ მიღწევად უნდა ჩითვალოს ის, რომ ავტორებმა დოკუმენტური კინოს საშუალებებით შექმნეს მხატვრული ფილმის დამახასიათებელი სახეები.

საუბრის დასასრულს გრიგოლ აბაშიძემ გულითადად მიეფლოცა ახალ ლაურეატებს და აღნიშნა, რომ პრემიის მინიჭება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის ასახავს იმ საერთო აღმავლობას, რომელსაც უკანასკნელ წლებში მიაღწია მთელმა ქართულმა ლიტერატურამ. ამ დარგში მოპოვებული წარმატებანი კანონზომიერია ცხოვრების ყველა სფეროში რესპუბლიკის მშრომელთა საერთო მიღწევების ფონზე. გრიგოლ აბაშიძემ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები შექმნიან ახალი ეპოქის შესაფერის ნაწარმოებებს, ხალხის სამსახურს მოახმარენ მთელ თავის ნიჭსა და ოსტატობას.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ. (სკკ. კორ.). ახალარჩეულ პარტორგანიზაციათა მდივნებს მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს პარტიის რაიკომთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების მუდმივმოქმედი სემინარი, სადაც ისინი ეუფლებიან და სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიასა და პარტიული მუშაობის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხს.

ახლახან ამ სემინარის მორიგ მეცადინეობაზე მისმა მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“; „ხელმძღვანელი კადრების მუშაობის ლენინური სტილი“; „პარტიული დავალებები და მათი განაწილება პარტიული ორგანიზაციის ბიუროს, პარტიული კომიტეტის წევრებს შორის“.

შ. მაისურაძე.

ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივში ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი საქმოვი საამქროს მრავალდაზგოსან მქსოველს ნანული რურუას. იგი ცვლაში 460 მეტრი ქსოვილის ნაცვლად 540-550 მეტრ ქსოვილს უშვებს. მას მინიჭებული აქვს საუკეთესო მქსოველის წოდება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ დადგენილება მან ვალდებულება იკისრა 1.000 მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი გამოუშვას.

სურათზე: ნ. რურუა.
გ. გოგოხიას ფოტო.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲐ. კაცხის სასოფლო საბჭოს 380 დეპუტატი და აქტივისტი მონაწილეობს სოფლების კეთილმოწყობაში. სახალხო დეპუტატთა ინიციატივით უკვე ორი შადამთა გაიმართა. 1700 კაცხელი რგავდა ხეხილის ნერგებს, არემონტებდა გზებს, ხიდებს.

ძალგად გაისარჯა სოფლსაბჭოს უხუცესი დეპუტატი ო. მუმლაძე. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით საშუალო სკოლის შენობას სამი საკლასო ოთახი მიაშენეს. შარშან ო. მუმლაძემ მოკრიფა და სახელმწიფო მარანს ჩაბარა 160 ცენტნერი ყურძენი — გეგმაზე 80 ცენტნერით მეტი. წელს კი მან ვალდებულება იკისრა შარშანდელზე 10 ცენტნერით მეტი ყურძენი მოიწიოს. (საქინფორმი).

ᲒᲐᲡᲐᲮᲝᲠᲔᲑᲐ

25 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრ ე ბ ი ს მოწინავეებისათვის უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევების გამო საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ“ — მესამე სეტყვში ზემოდან მესამე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: **ანანიძეს მზევინარ დურსუნის ასულს** —

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის გზით

თეორიის საკითხები

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ კანონმდებლურად განამტკიცა ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, რომელშიც ჩაქსოვილია საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის გონება და შრომა, ვაჟკაცობა და თავდადება, ცოდნა და გამოცდილება. მომწიფებული სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება, რაც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მთავარი მიმართულებაა.

დემოკრატიამ პირველად მხოლოდ ოქტომბრის საშობლოში შეიძინა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ესე იგი ხალხის ხელისუფლების, მისი ნამდვილი გამგებლობის მნიშვნელობა. იგი ჯერ მარტო აკმაყოფილებს ძოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს და თავისუფლებებს, არამედ საქმით უზრუნველყოფს მათ განხორციელებას, რადგან ხალხია სოციალისტური სახელმწიფოს ერთადერთი ბატონ-პატრონი, რომლის ხელთ არის ყველა უფლების მატერიალიზაციის ეკონომიკური საფუძვლები და გარანტიები. სწორედ ეს არის სოციალისტური დემოკრატიის უდიდესი უპირატესობა ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე.

სკკპ XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური დემოკრატიის აზრი და შინაარსი განპირობებულია ჩვენი საზოგადოების საქმეთა მართვაში ხალხის ფართო მასების უშუალო და გადამწყვეტი მონაწილეობით, მათი სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის და სულიერი სიმწიფის ზრდით, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივ-მასობრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებით, სახალხო კონტროლის გაძლიერებით.

სწორედ სოციალისტური დემოკრატიის, ხალხის გამგებლობის შემდგომი განუხრელი გაფართოება და გაღრმავება, რომელიც მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, შეადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამჟამად გაშლილი საარჩევნო კამპანიის არსს. არჩევნებისათვის მზადებამ კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა. კონსტიტუციაში შემდგომი განვითარება და საკანონმდებლო განმტკიცება პოვა საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულმა საფუძვლებმა, ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში პირველად არის გამოყენებული კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელმაც კიდევ უფრო გაადიდა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და რეგისტრაციაში გატარების ვადები, რაც საშუალებას აძლევს მილიონობით მშრომელს გამოთქვას თავისი აზრი.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის მიზანია სახელმწიფოს საქმეთა მართვაში ნამდვილად მონაწილეობდეს მილიონობით მშრომელი ადამიანი. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების შესახებ კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა, პარტიული ორგანიზაციების, საარჩევნო კომისიების, საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალმხრივი მუშაობა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულ იქნენ საბჭოთა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

ვ. ი. ლენინმა შექმნა მოძღვრება ახალი, უმაღლესი ტიპის დემოკრატიის — სოციალისტური დემოკრატიის შესახებ. მან წინასწარ განსაზღვრა, რომ ცივილიზებულ საზოგადოებათა ისტორიაში მხოლოდ სოციალიზმის დროს „მოსახლეობის მასა პირველად ამაღლდება დამოუკიდებელ მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, არამედ ყოველდღიურ მმართველობაში“. ეს წინასწარმეტყველება ცხოვრებამ მთლიანად დადასტურა.

საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის მთელ მანძილზე მშრომელთა ხელისუფლება წარმოდგენილია პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს, ხოლო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში — საერთაშორისო სახელმწიფოს სახით, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში სოციალისტური დემოკრატია მშრომელთა დიდი უმრავლესობის დემოკრატიაა, ხოლო საერთაშორისო სახელმწიფოს დროს—მთელი ხალხის დემოკრატია. დიდი ხანია სინამდვილედ იქცა ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ „მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის უმრავლესობის, შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პიროვნული ცხოვრების ყველა დარგში“.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ერთვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად ჩვენი საამშენებლო ახლა ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც რეალურად უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების არა მარტო უფლებრივი, არამედ ფაქტიური თანასწორობა.

ხალხის სრულუფლებიანობა, მისი გამგებლობა და სუვერენიტეტი გამოხატულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, არჩევითობის და ამომრჩევლებისადმი მათი ანგარიშვალდებულების პრინციპებით, სახალ

ალალი შრომით მოპოვებული ბედნიერება

— ბავშვობა თავდება მაშინ, როცა დაიბადება პირველი ეჭვი. ბავშვობისას გაგონილი ლეგენდები მაჯერებდა, მთები სავსე იყო განძეულით, ოღონდ მისი მოხელთება შეეძლო მხოლოდ რაშზე ამხედრებულ მამაცს; იგი შეათამაშებდა ზღაპრულ მთარახს, ნებისმიერ ადგილზე შეიჭრებოდა მთის სიღრმეში და რა არ გაჩენდა იქიდან; ხოლო პირველი კაცი, მთების სიღრმეში რომ „გაისეირნა", თანაც ყოველგვარი რაშისა და ზღაპრული მთარახის გარეშე, იყო ბიძაჩემი — ლარიკ აყიბა, ორდენსანი მეშახტე, ამჟამად პენსიონერი. სწორედ მისმა ნაამბობმა დაბადა ზღაპრებისადმი ჩემი პირველი ეჭვი. თუმცა ესეც აღმოჩენილი პირველი ეჭვის ცხელ კვალზე: ზღაპარი ყველაფერში როდი სცოდაედა; მთების გულში — განძეული თუ არა — მადნეული მაინც მოიპოვებოდა უხვად! ერთი სიტყვით, მე ზღაპრებიდან „შემოვეარე" მთებს, სანამ სოფელ ჯირხვაში დაწყებული შრომითი გზა ტყვარჩელის შახტებამდე მიმიყვანდა...

ეს სიტყვები ეკუთვნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ანატოლი ხაშიმის ძე აყიბას. იგი ოცდათექვსმეტი წლისაა, მზემოკიდებულივით უღვივის სახე და, როგორც იტყვიან, „პირწავარდნილი მეზღვაურის" შთაბეჭდილებას ტოვებს. ვის არ მოსწონს შობლიური სოფელი, მაგრამ ანატოლის ეამაყება კიდეც, რომ ჯირხველი: აქ დაიბადა დიდი სამამულო ომის გმირი ვლადიმერ ხარაზია. კოლმეურნეობა ხარაზიას სახელობისაა და სწორედ ამ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა ანატოლიმ საშუალო სკოლის შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ. მამამისი — ხაშიმ სეფსუქის ძე დიდ სამამულო ომში მიღებულმა ჭრილობამ ჯერ სრეცელს მიაჯაჭვა, შემდეგ სიცოცხლესაც გამოასალმა და დაობლებულ ოჯახში იმდენი საზრუნავი გაჩნდა, ყმაწვილი იძულებული იყო სწავლაზე ფიქრი მოშალისთვის გადაედო.

— მანქანები ბავშვობიდანვე შემიყვარდა, — ამბობს ანატოლი, — ძრავალი სიკეთისა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ მანქანა არასოდეს არ „ზარმაცობს", ჯერ კოლმეურნეობის მექანიზატორებს ვეხმარებოდი, მერე, თანდათან რომ გავიწაფე, მექანიზატორი გავხდი, და ტრაქტორის საჭეს მივუჯექი. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, თოხი მეკავა, ბარი, ტრაქტორის საჭე თუ ელექტრობურღი, დაუზარებლობა ჩემი უპირველესი „პასპორტი" იყო. ამიტომაც, სადაც კი ვმუშაობდი, ყველგან პატივისცემით ვიყავი გარემოსილი.

— შრომა ისეთი სკოლა არ არის, რომელიც შეიძლება რამდენმე წელიწადში დამთავრო! — მეტყოდა ოსმან ჯენიანი, ხანშეკყნოდ ცნობილი ლიხელი კოლმეურნე; იგი მაშინაც შრომობდა, როცა სიკუნეს ორი ათეული წლით გადააბიჯა. ოსმანის ოჯახთან ბავშვობიდანვე ვიყავი დაახლოებული, რადგანაც დეიდაჩემი ოსმანის რძალი იყო და, თუ სიტყვა „მონათვლას" სხვა მნიშვნელობას მივანიჭებთ, შემიძლია ვთქვა: შრომისადმი ალალი სიყვარულის გრძნობით სწორედ ოსმან ჯენიამ მომნათლა.

დამწყებ მეშახტეს, ისე როგორც ყველა პროფესიის დამწყებსა და ახალბედას, ერთი „სენი" ემართება: რაც უფრო ნაკლები გამოცდილება აქვს, მით უფრო „გამობრძმედილად" მოაქვს თავი. რა დასამალია: პრიმიტიული აღმოჩნდა არა მარტო ჩემი წინასწარი წარმოდგენა მეშახტის საქმიანობაზე, არამედ მიღებული საუბრიდან, წიგნებიდან თუ კინოსურათებიდან — თვით პირველი დასკვნებიც კი, მე რომ გამოვიტანე უშუალო შთაბეჭდილებებიდან. შახტი მოითხოვდა ძალიან ბევრ რამეს, ჩემთვის მანამდე სრულიად უცნობს და, რაც მთავარია, პროფესიული ცოდნის სისტემატურ გაღრმავებას.

მცოდნე, გამოცდილი ადამიანი ყველგან საჭიროა, მაგრამ მისი ფასი სულ სხვაა მიწის ქვეშ, ასეათასობით მეტრ სიღრმეში! აქ სწორედ გამოცდილი ადამიანია იმედიც, ჰაერიც და წყალიც; აქ ჰეშმარიტი ცოდნა და გამოცდილება ქმნის იმ კანონიერ საფეხურებს, რომლებიც კოლექტივის ყველა წევრს უკავია.

იქნებ, „პროფესიული პატრიოტიზმიც" არსებობს! საკუთარი პროფესიისადმი მომეტებულ პატრიოტიზმში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ შახტს, ამ მიწისქვეშა. „სამბრძანებლოს" თავისი დაუწერელი კანონებიც აქვს, ხოლო ამ კანონებში მთავარია ერთსულოვნება, ძმური ყურადღება ერთიმეორისადმი! ხმელეთზე შეიძლება, როგორც იტყვიან, უღობოდაც გააჩინო ერთგვარი სამანი და სხვებს გამოეთიშო; შახტში კი შეუძლებელია რამე „შემოღობო" და იყო შენთვის, განცალკევებულად.

ლუნინის სახელობის № 8 შახტის სანგრევი ხაზის მწმენდელთა ბრიგადა, რომელსაც ანატოლი აყიბა ხელმძღვანელობს, გასული წლიდანვე აბარებდა ქვანახშირს 1979 წლის ანგარიშში, ბრიგადამ პირველმა მისცა სამშობლოს ათასი ტონა ქვანახშირი დღე-ღამეში და მოიპოვა პირველათასელთა სპატიო წოდება; ბრიგადის ოცდაოთხივე წევრი სანიმშო მაგალითის მაჩვენებელია, მაგრამ რჩეულთა შორის რჩეულებიც არიან: ამფეთქებელი გრიგოლ ქვარცხავა, მერგოლური არკადი ერმაკოვი და ვეტერანი მეშახტე ევგენი ჩეპლანოვი. ბრიგადის წევრებს და თვით ბრიგადირს მთავრობის არაერთი ჯილდო აქვთ მიღებული.

ანატოლის თავისი ცხოვრების უბედნიერეს დღედ მიაჩნია 1974 წლის 7 მაისი, როცა იგი პარტიის რიგებში მიიღეს, ახლა მეორე ბედნიერი თარიღიც გამობრწყინდა მის სახელოვან ბიოგრაფიაში — სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დასახელების დღე!.. და მთელი მისი ცხოვრება ალალი შრომით მოპოვებული ბედნიერებაა.

ზოთა აკობია.

სურათზე: ა. აყიბა.

მოგითხრობთ ტყვარჩელის ს. ი. ლენინის სახელობის მერვე შახტის სანგრევი ხაზის გამწმენდი ბრიგადის ხელმძღვანელ ანატოლი აყიბაზე.

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

24 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ მიიღო გამომცემლობა „აკადემოსის" პრეზიდენტი გეორგიოს ბობოლასი, მისი მეუღლე ქალბატონი ბობოლასი და ალექსანდრე ფილიპოპულოსი — მთავარი რედაქტორი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისა, რომელიც ათეწინ ბერძნულ ენაზე გამოდის. ისინი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებათა სააგენტოს მოწვევით.

ო. ჩერქეზია გულითადად მიესალმა ბერძენ სტუმრებს, აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ შეხვედრებს, რომლებიც უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

ამბ. ჩერქეზია სტუმრებს ესაუბრა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების, საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მათ შორის საბერძნეთთან საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესახებ.

გამომცემლობა „აკადემოსის" პრეზიდენტმა გეორგიოს ბობოლასმა დიდი მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ მიეცა საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემას ბერძნულ ენაზე, თქვა მან, დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. მას წვლილი შეაქეს სსრ კავშირისა და საბერძნეთის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში. უკვე გამოცემულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ხუთი ტომი. რამდენიმე დღეში მკითხველები მიიღებენ მეექვსე ტომს, მეშვიდე ტომში წარმოდგენილი იქნება საქართველო, საბერძნეთთან მისი კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა, რომელსაც შორეულ წარსულში აქვს ფესვი გადგმული. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება

ირანი: სტაბილიზაციის რთული პროცესი

თეირანი, 26 თებერვალი. (საკდესი). ირანის დროებითი მთავრობა კვლავ აბორიგენებს ქვეყანაში ნორმალური ეკონომიკის საქმიანობის აღდგენის კონტრრევოლუციური ელემენტების ლიკვიდაციის პოლიტიკას.

მთავრობის წარმომადგენელმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მეტ წილ მსხვილ დაწესებულებებსა და კომპანიებში დროებით დანიშნულია პირები, რომლებიც პასუხს აგებენ მმართველობისათვის გარდამავალ პერიოდში და კონტროლს გაუწევენ ადრების წმენდას შახის მომხრე ელემენტებისაგან. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ახლა ადგენენ ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელსაც გამოაქვეყნებს მთავრობა და გამოიტანს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ამჟამად, როგორც წარმომადგენელმა განაცხადა, ადგენენ იმ პირთა სიას, რომლებსაც წილი უდევთ ძველი რეჟიმის პერიოდში ჩადენილ დანაშაულობებში. მათ აეკრძალებათ ირანიდან გასვლა.

ირანის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ გადაყენებულია კიდევ 32 გენერალი. რეგიონ რადიო „ირანის რევოლუციის ხმა" იუწყება, ამჟამად შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის 140 ოფიცერი გადაყენებულია საკომანდო პოსტებიდან.

ირანის იუსტიციის მინისტრმა ა. მობაშერიმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ აღმოჩენილია ირანელ პატრიოტთა წამებაში შაჰის პირადი მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

„ეთელაათის" ცნობით, ხომეინის წარმომადგენელმა ხაზალიმ განაცხადა, რომ შაჰი, რომელიც მიმდინარე წლის 17 თებერვლისათვის გადატრიალებას ამზადებდა, რამდენჯერმე ჩამოფრინდა მაროკოდან ირანის კუნძულ კიშზე, სადაც ეთათბირა მის მომხრე რამდენიმე გენერალს. როგორც ხაზალიმ აღნიშნა, შაჰმა ქვეყნიდან წაიღო დაახლოებით 160 მილიარდი რიალი.

უზარმაზარ სახსრებს, რომლებიც შაჰმა ხალხს მოპარა, წერს გაზეთი, ამჟამად იყენებენ რევოლუციის წინააღმდეგ ახალი შეთქმულების მოსამზადებლად. აიათოლა ხომეინის შტაბ-ბინაში შეიეცარიიდან მოვიდა ცნობა, რომ შაჰის საიდუმლო პოლიციის ცნობილი ჯალათი ფარვიზ საბეთი, რომელიც ახლა ამ ქვეყანაში იმალება, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალისტთა დახმარებით ამზადებს იმპერიალისტურ შეთქმულებას ირანის წინააღმდეგ. საკაკის ყოფილი აგენტები, აღნიშნავს „ეთელაათი" ამ გეგმის შესაბამისად ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გამოიწვიონ ისლამურ დაჯგუფებათა შეტაკება ირანის მემარცხენე ძალებთან, შაჰის ფულით გაჩაღონ სამოქალაქო ომი.

აქეზებენ აგრესორს

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მ. ბლუმენტალი ოფიციალურ ვიზიტად პეკინს ეწვია. პეკინის ლიდერებთან მთელ რიგ პრობლემებზე მოლაპარაკების გარდა, მინისტრი, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, პრეზიდენტ ჯ. კარტერის წარმომადგენელი იქნება შეერთებული შტატების საელჩოს გახსნაზე, რომელიც დანიშნულია 1 მარტისათვის.

ბევრის მომსწრე ამერიკელ პოლიტიკურ მამოძრავებელებსაც კი, ადვილ ამოცანად არ მიაჩნიათ პეკინში ჩინეთ-ამერიკის ეკონომიების უფრტხვნელად გაშუქება მეზობელი ვიეტნამის წინააღმდეგ ჩინეთის ვერაგული აგრესიის, ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩინეთის მხედრიონის ბარბაროსულ დანაშაულობათა ფონზე. ეს მოცანა კიდევ უფრო გაძნელებულია იმასთან დაკავშირებით, რომ თვით ბლუმენტალმა ცინიკურად განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობა სრულიადაც არ არის „დაკავშირებული" ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩინეთის შეჭრის ესკალაციასთან.

შრომა და კაპიტალი

ბერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეტალურგიულ მრეწველობაში მწვავდება სოციალური კონფლიქტი. ქვეყნის მთელი რიგი სამრეწველო ცენტრების მუშა-მეტალურგები განაგრძობენ გაფიცვას. ჩაიშალა მორიგი ცდა, რომ მიეღწიათ შეთანხმებისათვის მეტალურგთა პროფკავშირის წარმომადგენლებსა და მეწარმეებს შორის.

სურათზე: გაფიცულთა პიკეტი ქალაქ მიუნსტაიმში.

ასოშიეიტედ პრეს-სკდესის ტელეფოტო.

რისი და ვისი იმედით

ჩვენი მიმოხილვა

მოკლედ

ყოველი მხრიდან

— 26 თებერვალი

ვარშავა. დაიწყო ქვეყანაში უდიდესი ოლშტინის სალტების ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. ამ საწარმოსნიშნიანი ავტოსამბურავები ცნობილია ბევრ ქვეყანაში. ქარხნის საამქროებიდან ყოველდღიურად გამოდის 3,5 მილიონზე მეტი სალტე.

1981 წელს საწარმოს მესამე რიგის მწყობრში ჩადგომის შემდეგ იგი დაიწყებს ტრაქტორებისა და სატვირთო ავტომობილების სალტეების გამოშვებას.

დუბლინი. ჩრდილოეთ ირლანდიაში ტრაგიკული ამბები არ წყდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო, განაცხადა ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ლინჩმა, რომელიც გამოვიდა მმართველი პარტიის ფიანა ფაილის მორიგ ყოველწლიურ ყრილობაზე.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ 1970 წლიდან 1977 წლამდე ჩრდილოეთ ირლანდიიდან ქვეყანაში დაძაბული ვითარების გამო წავიდა 80 ათასზე მეტი კაცი.

სტამბოლი. თურქეთის მუშათა პარტიის აქ მიმდინარე მეორე ყრილობის დელეგატებმა გუშინ ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობს პეკინის ლიდერების მიერ გაჩაღებულ აგრესიას სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ. წერილში, რომელიც მათ გაუგზავნეს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გულისწყრომით გმობენ ჩინეთის შეიარაღებულ აგრესიას გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მაოიზმმა კვლავ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ იგი იმპერიალიზმის აჭიანური ხელშემწყობია, იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს გათიშოს მსოფლიო სოციალიზმის მზარდი ძალიერება. თურქეთის მუშათა კლასი და თურქი ხალხი, ნათქვამია წერილში, აღშფოთებით აცხადებენ პროტესტს ვიეტნამზე ვერაგული თავდასხმის გამო.

ანკარა. ცხოვრების ღირებულების ზრდა ავსტრალიაში სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ამა წლის იანვარში კვების პროდუქტების ფასები ქვეყანაში ორი პროცენტით გადიდდა. ეს ამ უკანასკნელ წლებში ფასების ყველაზე შესამჩნევი თვიური მატებაა. 1978 წლის იანვართან შედარებით პროდუქტების ფასებმა მოიმატა 12,4 პროცენტით. გაძვირდა ხორცი, პური, ხილი და სხვა სასურსათო საქონელი.

თეირანი. შაჰის მიერ დანიშნული ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბახთიარი საზღვარგარეთ გაიქცა. ეს განაცხადა სიტყვაში, რომელიც რადიოსადგურმა „ირანის რევოლუციის ხმამ" გადასცა, აიათოლა ხომეინიმ. მას არ უთქვამს, თუ სად იმყოფება ამჟამად ყოფილი პრემიერი, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ ირანის დროებით მთავრობას განზრახული აქვს სამართალში მისცეს ბახთიარი, ამიტომ მოითხოვს მის გადმოცემას.

„ვინ ვინ არის?" (ანუ „ვინ რას წარმოადგენს?") — ასეთი სათაურით არა ერთი და ორი ბიოგრაფიული ცნობარი გამოდის, მაგრამ, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე ზუსტი და უტყუარი პასუხი ამ კითხვაზე გაიცემა ხოლმე ისტორიის განსაკუთრებით მწვავე, კრიზისულ მომენტებში. მაშინ ვლინდება არა მარტო ცალკეულ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა სახე, არამედ ამა თუ იმ თავისრობის მოქმედების, მთელი მათი პოლიტიკის არსი, მოვლენათა ზედაპირზე ამოტივტივდება ხოლმე ისიც კი, რაც მანამდე ფარული ან შენიღბული იყო.

ამ უბრალო ჭეშმარიტების უტყუარი ნასიათი განსაკუთრებით იგრძნობა დღეს, როდესაც მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი სახელმწიფოს — ჩინეთის შოვინისტურ-ჰეგემონისტურად განწყობილი ხელმძღვანელობა აგრესიულ ომს აწარმოებს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. სამარი ინფორმაციის საშუალებებიც მისცემენ საშუალებას აწარმოონ ამგვარი „დამსჯელი ექსპედიციები" მათთვის სასურველ დროს. და ეიდევ: ჰეკინი ცდილობს დრო მოიგოს და ხელი შეუწყოს პოლ პოტის მცირერიცხოვან ბანდებს ფეხი მოიკიდონ კამბუჩიის ტერიტორიაზე, სადაც მთ, როგორც ცნობილია, არავინ არ უჭერს მხარს.

პეკინში კარგად იციან დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელთა „პრინციპულობის" ფასი. ოფიციალური ვაშინგტონი გვარწმუნებს, რომ ფი კატეგორიულად გმობს ჩინეთის აგრესიას ვიეტნამში, მაგრამ არის „პატარა ნიუანსი": შეერთებული შტატები ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტას უკავშირებს კამბუჩიაში პოლ პოტის რეჟიმის აღდგენის საკითხს. მოვიგონოთ, რომ სულ ორიოდე წლის წინათ თვით შეერთებული შტატები გმობდა პოლ პოტის მთავრობას, როგორც პირსისხლიან უზურპატორს. იმდენად დიდი იყო აღშფოთება, რომ ერთ-ერთმა სენატორმა ადამიანთა მასობრივი ჟლეტის შეწყვეტის მიზნით კამპუჩიაში ჯარების შეყვანაც კი მოითხოვა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩინეთი პირდაპირ შეტევაზეა გადასული, გახშირდა ნატოს ხელმძღვანელთა ანტისაბჭოური განცხადებანი. ჯერ იყო და, „თავი ისახელა" ნატოს გენერალურმა მდივანმა ი. ლუნსმა. ახლა მას აყვა მთავარსარდალი ა. ჰეიგი, რომელმაც მოითხოვა ნატოს მოქმედების სფეროს გაფართოება „მესამე საამყაროში", სადაც თურმე ყველაზე დიდ საშიშროებას... საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. ცხადია, ჰეიგმა ჩინეთიც ახსენა: პეკინის მოქმედება „მოსაწონი არ არის, მაგრამ გასაგებიაო".

ამ საოცარ ლოგიკას სათანადო პრაქტიკული საქმიანობაც მოყვა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩინეთში იმყოფება ინგლისის მრეწველობის მინისტრი. ახლა იქ ჩავიდა „საერთო ბაზრის" თავმჯდომარე რ. ჯენკინსი და შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მ. ბლუმენტალი. სამივე ერთდროულად. რაღა მაინც დამაინც ახლა? განა ყოველივე ეს აგრესორის დემონსტრაციული წაქეზება არ არის?

და, ბოლოს, კიდევ ერთი შტრიხი. აქამდე ამერიკის მთავრობა გვარწმუნებდა, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ სენატმა დაამტკიცოს შეთანხმება საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზეო. ამ დღეებში კი თეთრმა სახლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი არ გამორიცხავს სენატის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების ჩაშლას და გამალებული შეიარაღების უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელებას.

ყოველივე ამის შემდეგ საკვლევი ნათელია, ვინ ვინ არის, ვინ რას წარმოადგენს. თუმცა ჩვენთვის ეს საიდუმლოება არასდროს არ ყოფილა. ახლა კი ამას თვალნათლივ ხედავს მთელი მსოფლიო.

ე. მენაბდე,
„კომუნისტის" საერთაშორისო მიმოხილველი.

განათლების მუშაკთა აქტივი

ბაიმართა სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელმაც განიხილა მიმდინარე ეტაპზე სკოლის საარსებო ამოცანები. აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო განათლების მუშაკები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ.

მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში სასიხარულო ცვლილებები მოხდა. რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო დადგენილებებით, მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობისა და საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის რეკომენდაციებით, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში. ბევრი რამ გაკეთდა: სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დახვეწის, ახალი სახელმძღვანელოებისა და მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდიკური ლიტერატურის შექმნის დარგში. ფართოდ გაიშალა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომების შესწავლა.

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, მათ სურთ თვითნებურად „შეასწორონ" საზღვარი ვიეტნამთან, დაიკავონ ისეთი სტრატეგიული პოზიციები, რომლებიც მომავალში მისცემენ საშუალებას აწარმოონ ამგვარი „დამსჯელი ექსპედიციები" მათთვის სასურველ დროს. და ეიდევ: ჰეკინი ცდილობს დრო მოიგოს და ხელი შეუწყოს პოლ პოტის მცირერიცხოვან ბანდებს ფეხი მოიკიდონ კამბუჩიის ტერიტორიაზე, სადაც მთ, როგორც ცნობილია, არავინ არ უჭერს მხარს.

ჰეკინში კარგად იციან დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელთა „პრინციპულობის" ფასი. ოფიციალური ვაშინგტონი გვარწმუნებს, რომ ფი კატეგორიულად გმობს ჩინეთის აგრესიას ვიეტნამში, მაგრამ არის „პატარა ნიუანსი": შეერთებული შტატები ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტას უკავშირებს კამბუჩიაში პოლ პოტის რეჟიმის აღდგენის საკითხს. მოვიგონოთ, რომ სულ ორიოდე წლის წინათ თვით შეერთებული შტატები გმობდა პოლ პოტის მთავრობას, როგორც პირსისხლიან უზურპატორს. იმდენად დიდი იყო აღშფოთება, რომ ერთ-ერთმა სენატორმა ადამიანთა მასობრივი ჟლეტის შეწყვეტის მიზნით კამპუჩიაში ჯარების შეყვანაც კი მოითხოვა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩინეთი პირდაპირ შეტევაზეა გადასული, გახშირდა ნატოს ხელმძღვანელთა ანტისაბჭოური განცხადებანი. ჯერ იყო და, „თავი ისახელა" ნატოს გენერალურმა მდივანმა ი. ლუნსმა. ახლა მას აყვა მთავარსარდალი ა. ჰეიგი, რომელმაც მოითხოვა ნატოს მოქმედების სფეროს გაფართოება „მესამე საამყაროში", სადაც თურმე ყველაზე დიდ საშიშროებას... საბჭოთა კავშირი წარმოადგენს. ცხადია, ჰეიგმა ჩინეთიც ახსენა: პეკინის მოქმედება „მოსაწონი არ არის, მაგრამ გასაგებიაო".

ამ საოცარ ლოგიკას სათანადო პრაქტიკული საქმიანობაც მოყვა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩინეთში იმყოფება ინგლისის მრეწველობის მინისტრი. ახლა იქ ჩავიდა „საერთო ბაზრის" თავმჯდომარე რ. ჯენკინსი და შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მ. ბლუმენტალი. სამივე ერთდროულად. რაღა მაინც დამაინც ახლა? განა ყოველივე ეს აგრესორის დემონსტრაციული წაქეზება არ არის?

და, ბოლოს, კიდევ ერთი შტრიხი. აქამდე ამერიკის მთავრობა გვარწმუნებდა, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩინეთში იმყოფება ინგლისის მრეწველობის მინისტრი. ახლა იქ ჩავიდა „საერთო ბაზრის" თავმჯდომარე რ. ჯენკინსი და შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი მ. ბლუმენტალი. სამივე ერთდროულად. რაღა მაინც დამაინც ახლა? განა ყოველივე ეს აგრესორის დემონსტრაციული წაქეზება არ არის?

და, ბოლოს, კიდევ ერთი შტრიხი. აქამდე ამერიკის მთავრობა გვარწმუნებდა, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ სენატმა დაამტკიცოს შეთანხმება საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზეო. ამ დღეებში კი თეთრმა სახლმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი არ გამორიცხავს სენატის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების ჩაშლას და გამალებული შეიარაღების უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელებას.

ყოველივე ამის შემდეგ საკვლევი ნათელია, ვინ ვინ არის, ვინ რას წარმოადგენს. თუმცა ჩვენთვის ეს საიდუმლოება არასდროს არ ყოფილა. ახლა კი ამას თვალნათლივ ხედავს მთელი მსოფლიო.

ე. მენაბდე,
„კომუნისტის" საერთაშორისო მიმოხილველი.

მკვლევარი და აღმზრდელი

პროფესორ ლ. რჩეულიშვილის დაბადების 70-ე წლისთავის გამო



ცნობილ მეცნიერსა და პედაგოგს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს. პროფესორ ლევან რჩეულიშვილს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ორმოცდა წელზე მეტია იგი უმწიკლოდ ემსახურება ძველი და თანამედროვე ქართული ხელოვნების შესწავლის, ახალგაზრდა ხელოვნებისმცოდნეთა აღზრდისა და ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლთა დაცვა-რესტავრაციის საქმეს.

ლევან რჩეულიშვილი დაიბადა 1909 წლის 27 თებერვალს შუაგულ ქართლის სოფელ ხოვლეში, ოჯახში, რომელსაც ტრადიციულად მოსდგამდა ქართული კულტურის სიყვარული (იგი ივანე ჯავახიშვილის დისწულია). საშუალო განათლება თელავში მიიღო. სკოლამ, მასწავლებლებმა, ისტორიული ძეგლებით მდიდარი კახეთის გარემომ ლ. რჩეულიშვილს ბავშვობიდანვე გაუღვივა ხუროთმოძღვრებისადმი ცხოველი ინტერესი. 1926 წელს იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არქიტექტურის განყოფილებაზე, რომელიც შემდეგ გადატანილი იქნა სამშენებლო ინსტიტუტში.

1932 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ლ. რჩეულიშვილი იწყებს მუშაობას, როგორც ხუროთმოძღვარი — პრაქტიკოსი (მისი პროექტებით რამდენიმე შენობაა აგებული) და, იმავე დროს, მას ტოვებენ ინსტიტუტში არქიტექტურული დაპროექტების კათედრის ასისტენტად. მაგრამ უკვე 1936 წლიდან ლ. რჩეულიშვილმა თავისი ცხოვრება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მეცნიერულ კვლევას დაუკავშირა — მისი ხელმძღვანელი იმთავითვე იყო ქართული ხელოვნებათმეცნიერების ფუძემდებელი გიორგი ჩუბინაშვილი. მას შემდეგ, თავის კოლეგებთან ერთად, მან საქართველოს მრავალი კუთხე შემოიარა — ადგილზეც იკვლევდა ძეგლებს, აწარმოებდა მათ მეცნიერულ აზომვა-ფიქსაციას. მის მიერ მარტო, ან სხვებთან ერთად, აზომილია რამდენიმე ათეული ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესი ძეგლებიც, მაგალითად, მცხეთის სვეტიცხოველი, თიღვის ტაძარი, საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები ქართლში, კახეთში, აფხაზეთში, სხვა კუთხეებშიაც. თავდაპირველად ლ. რჩეულიშვილი მუშაობდა ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურის განყოფილებაში, 1941-დან კი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე, მისი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

ლ. რჩეულიშვილის მეცნიერული ინტერესები ვრცელია. მან საყურადღებო გამოკვლევები უძღვნა ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს — უმეტესობა მის მიერვე იყო მიკვლეული და პირველად შესწავლილი (უფრო მცირე ნარკვევთა გარდა, მონოგრაფიები თიღვის ტაძრისა და თბილისის „მეტეხის“ შესახებ და სხვ.). მახვილი მხატვრული ანალიზის საფუძველზე, ჩვენა არსებული წერილობითი წყაროს გათვალისწინებით, მან ძეგლთა სტილისტიკური თავისებურებები გამოავლინა და დაადგინა მათი ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები აფხაზეთის ძეგლების შესახებ. ეს ძეგლები გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა, მათ მიტი აქვთ საერთო ბიზანტიურ არქიტექტურასთან, ვიდრე საქართველოს სხვა ნაწილების ძეგლებს. ლ. რჩეულიშვილმა გამოავლინა, რომ, ამასთან ერთად, აფხაზეთის ძეგლები თავისი სპეციფიკური თემატიკით, ხუროთმოძღვრულ-სამშენებლო ნიშნებით, ორგანულად უკავშირდება ზოგად-ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებას.

ლ. რჩეულიშვილი ერთი პირველთაგანია ქართველ მკვლევართა შორის, ვინც საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართული საერო ხუროთმოძღვრების, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის, შესწავლას. ერთი მხრივ, იგი იკვლევდა ადრეული შუა საუკუნეების ხანის საცხოვრებლებს (მანამდე სრულიად შეუსწავლელთ) ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში; მეორე მხრივ, რამდენიმე ნაშრომი უძღვნა გვიანი ფეოდალური სასახლეებისა და საცხოვრებელი სახლების არქიტექტურას ქართლსა და კახეთში (ნარკვევები ძაღინის სასახლის, ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუსიშვილის სახლის, ვაშლოვანის ორბელიანთა კოშკის, ქალაქ თელავის შესახებ და სხვ.). ამ ნარკვევებში, არსებითად, მოცემულია გვიანი ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განშტოების ევოლუციის უმთავრესი ეტაპების სურათი.

მრავალი წლის განმავლობაში ლ. რჩეულიშვილი ნაყოფიერად იღვწოდა, როგორც არქეოლოგიური ექსპედიციების მონაწილე, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა შუასაუკუნეების არქეოლოგიური ობიექტების შესწავლის საქმეში.

წარსულის ნივთიერი კულტურის კვლევასთან ერთად, ლ. რჩეულიშვილი გატაკებით სწავლობ[illegible] დღევანდელ, საბჭოთა ქართულ[illegible] ხელოვნებასაც, იგი მისი აქტიური პროპაგანდისტია. მის, [illegible] ლობით მცირე, მაგრამ ღრმა, [illegible] ზილ, გულმხურვალედ დაწერილ ნარკვევებს დავით კაკაბაძის, ქეთევან მაღალაშვილის, ელენე აბელიანის, სერგო ქობულაძისა და სხვათა შესახებ სამატიო ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა მხატვრობისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში.

ლ. რჩეულიშვილის ბევრი გამოკვლევა მოხსენდა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს. იგი ხშირად მონაწილეობს ტელევიზიებში, უმეტესად სწორედ საბჭოთა ხელოვნების საკითხებზე.

რამდენიმე ათეული წელია ლ. რჩეულიშვილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-რესტავრაციისათვის წარმოებულ საქმიანობასთან, როგორც ავტორიტეტული კონსულტანტი, ცალკეულ ძეგლთა რესტავრაციის პროექტების ავტორი და ხელმძღვანელი, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთი დამფუძნებელთაგანი და აქტიური წევრი.

დიდია ლ. რჩეულიშვილის, როგორც პედაგოგის, დამსახურება. [illegible] ინსტიტუტის შემდეგ, იგი [illegible] წლის მანძილზე, კითხულობდა ხელოვნების ისტორიის კურსს, თეატრალურ ინსტიტუტში. 1954 წლიდან [illegible] განაგებს [illegible] ისტორიასა და თეორიას, [illegible] ინსტიტუტში, [illegible] ბების დარგი ჩამოყალიბდა. სწორედ ლ. რჩეულიშვილს დაუფალა მისი ორგანიზაცია და გაძღოლა. მისი დიდი ტაქტის, პედაგოგიური ალღოს, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობის წყალობაა, რომ ამ საქმეს თავიდანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, შეიქმნა პედაგოგთა ერთსულოვანი კოლექტივი, სწავლება მაღალ პროფესიულ დონეზე იქნა დაყენებული. დღეს ახალგაზრდა ქართველი ხელოვნებათმცოდნეების უმეტესობა ლ. რჩეულიშვილის მიერ არის აღზრდილი.

ლ. რჩეულიშვილმა, ჩვენი ეროვნული ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარმა, გულისხმიერმა აღმზრდელმა, რომლის ხელშიც ხელოვანთა არაერთი თაობის გაზრდილა, საზოგადო მოღვაწემ და მოქალაქემ, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი დღესაც კვლავინდებურად მხნედ და უანგაროდ ემსახურება მშობლიურ კულტურას.

ვახტანგ ბერიძე.

უკვდავყოფა

გაიხსნა ნ. მუსხელიშვილის კაბინეტი

ჩვენი დედაქალაქის მეცნიერულ-კულტურულ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში შეიქმნა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის კაბინეტი.

...ორი მოსაზღვრე ოთახი დიდებულად მოუწყვიათ. პირველ ოთახში ერთ-ერთ კედელს ამშვენებს დიდი ფოტოპორტრეტი, რომელზეც მეცნიერი მთელი ტანით არის გამოსახული. პორტრეტის ქვეშ დგას ძველებური მასიური საწერი მაგიდა, რომელზეც ნ. მუსხელიშვილი მუშაობდა. მაგიდაზე გადაშლილია მისი ცნობილი ნაშრომის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის“ ის ეგზემპლარი, რომელიც ავტორს საკუთარი ხელით გაუკეთებია ვრცელი, საგულდაგულო ჩასწორებები. იქვე დევს მეორე წიგნი, ფილადელფიაში ინგლისურენოვანი გამოცემული — „უწყვეტი გარემოს მექანიკის პრობლემები“, მის თავფურცელს აწერია: „აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად“. იქვეა მოზრდილი ფოტოალბომი, რომელიც სიყვარულით დაუმზადებია მის ერთ-ერთ მოწაფეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს ს. ჯიქიას.

თაროებზე გამოფენილია ნ. მუსხელიშვილის საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიების საბჭოური და უცხოური გამოცემები, დაბადების მე-60, 70-ე და მე-80 წლისთავზე მიღებული უამრავი მილოცვა, ადრესი თუ სიგელი, სხვადასხვა აკადემიების დიპლომები თუ მოწმობები.

მეორე ოთახში მოთავსებულია აკადემიკოსის მიერ მათემატიკის ინსტიტუტისათვის ნაანდერძევი პირადი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი. კაბინეტის გამგე ე. ურდულაშვილი გვიჩვენებს ცნობილი საბჭოთა და უცხოელი მკვლევარების იმ წიგნებს, რომლებიც ავტორებს — ლ. სედოვს, ი. ვეკუას, კ. ფრიდრიხსს (აშშ), ი. სნედონს (ინგლისი), ლ. მეტკოვიჩს (იუგოსლავია) საჩუქრად მიუძღვნიათ ნ. მუსხელიშვილისათვის. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სრულად ოქროვანი წიგნები — ფ. არაგოს, მ. კანტორის, ა. პუანკარეს, ჟ. ადამარის და სხვათა მათემატიკის, მექანიკის, ასტრონომიის, მეცნიერების ისტორიის დარგის კლასიკური თხზულებანი.

— ყველა დაინტერესებულ პირს, — გვიხსნის ე. ურდულაშვილი, — შეუძლია ისარგებლოს კაბინეტში რეგისტრირებული წიგნებით, ოღონდ აქვე უნდა იწუმოს.

ნ. მუსხელიშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი საცოცხლე მეცნიერებისათვის, ხალხისათვის თავდაუზოგავი შრომის ნათელი მაგალითია. მისი სახელობის კაბინეტი უთუოდ შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის კიდევ მეტად გატაცებას საუნივერსიტეტო მეცნიერებებით, გადაიქცევა თბილისის მეცნიერული ცხოვრების ერთ-ერთ კერად.

თ. ეგანოვიძე.

* * *

სურათზე: ნ. მუსხელიშვილის სახელობის კაბინეტი.

ვლ. მაჩაბლის ფოტო.

ნარკოზი

სტომატოლოგიაში

რესპუბლიკურ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მკურნალობის ახალი მეთოდი დაინერგა. ეს არის პირის ღრუს და კბილების მკურნალობა და ამბულატორიული ოპერაციები ნარკოზით.

ნარკოზის ხმარება სტომატოლოგიაში ამცირებს მკურნალობის დროს და რაც მთავარია ავადმყოფებს უკარგავს კბილის მკურნალობით გამოწვეულ ტკივილსა და შიშის შეგრძნებას.

სურათზე: სტომატოლოგები ე. კალანდაძე, მ. ქუტიძე, და ე. ჭეიშვილი ამზადებენ ავადმყოფს საერთო ნარკოზით კბილების მკურნალობისათვის.

ს. კილაძის ფოტო.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ვისწავლოთ სწორი სუნთქვა

ეძიმი გვირჩევს

ცნობილია, რომ ადამიანმა უმმოლად შეიძლება ორ თვემდე იცოცხლოს, უწყლოდ, — ერთი კვირა, უძილოდ — 10 დღე, უპაროდ კი იგი მხოლოდ რამდენიმე წუთს ძლებს. გავიხსენოთ არისტოტელეს სიტყვები: „სუნთქვა — ეს სიცოცხლეა“.

სწორ სუნთქვაზე დამოკიდებული ადამიანის სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მიმდინარეობა და შრომისუნარიანობა. ადამიანი სწორად მხოლოდ მაშინ სუნთქავს, როცა ეს ცხვირით ხდება. მას პირით სუნთქვასთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ამ გზით ფილტვებში შესული ჰაერი თბება და იწმინდება ცხვირის ღრუში არსებული ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა მდიდარი ქსელისა და სპეციალური ბუსუსების საშუალებით. გარდა ამისა, ზედა სასუნთქ გზებში უხვად არის გაფანტული, გულისა და სისხლძარღვების საინერვიაციო აპარატის მოქმედება და ფთი სისხლის შემადგენლობა), სისხლის მიმოქცევა დამოკიდებულია ეგრეთწოდებულ ექსტრაკარდიალურ ფაქტორებზე (სუნთქვა, კუნთების მუშაობა), შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელის მეშვეობით ახერხებს გული მრავალი წლის განმავლობაში ისეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანის შრომითი საქმიანობა.

სუნთქვითი ვარჯიში შეიძლება იყოს სტატიკური და დინამიკური.

სტატიკურ სუნთქვითს ვარჯიშს მიეკუთვნება ისეთი სუნთქვა, როდესაც ადამიანი შეგნებულად სუნთქავს, ესე იგი აკონტროლებს შესუნთქვას და ამოსუნთქვას. სტატიკური სუნთქვითი ვარჯიში შეიძლება შესრულდეს წოლის, ჯდომისა და დგომის დროს. ამ დროს ხელები თავსდება გულმკერდსა და მუცელზე (დიაფრაგმაზე), რაც საშუალებას იძლევა მეტი კონტროლი გავუწიოთ სუნთქვითი მოძრაობების შესრულებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ სტატიკური ხასიათის სუნთქვითი ვარჯიშის დროს ტანი და კიდურები არ მოძრაობენ. ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია დიაფრაგმის მოძრაობაზე. სუნთქვითი ვარჯიში სრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი შესუნთქვის დროს (იგი ყოველთვის ცხვირით უნდა ხდებოდეს) მუცელს წინ გამობერავს, ამ დროს დიაფრაგმა დაბლა დაიწევს და გულმკერდის ყაფაზი გაფართოვდება. ამოსუნთქვის მომენტში (ავადმყოფებმა — პირით) მუცელი შიგნით, ხერხემლისაკენ უნდა იწეოდეს, ე. ი. დიაფრაგმა ადიოდეს ზემოთ.

სუნთქვის მხოლოდ ამ მექანიზმით არის შესაძლებელი ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგება და ფილტვებიდან საჭირო რაოდენობით ნახშირორჟანგის გამოყოფა. სტატიკური სუნთქვა არ უნდა ხდებოდეს სწრაფი ტემპით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რადგან ამ დროს ფილტვების ვენტილაცია ზედმეტად გაძლიერებულია, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს ადამიანზე.

ჩვეულებრივ ურჩევენ, რომ ჯანმრთელმა ადამიანმა ღრმად ისუნთქოს არა უმეტეს 3-5 წუთის განმავლობაში. ნავარჯიშევი პირებისათვის დასაშვებია სტატიკური სუნთქვითი ვარჯიშის 10 წუთამდე გახანგრძლივება.

ავადმყოფებისათვის სტატიკური სუნთქვითი ვარჯიში შედარებით ნელი ტემპით უნდა სრულდებოდეს. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ძალზე ღრმა შესუნთქვამ შესაძლებელია გამოიწვიოს არასასიამოვნო შეგრძნება (მაგალითად, თავბრუს ხვევა). გულის უკმარისობის, ჰიპერტონიული სნეულების, ბრონქული ასთმის და ფილტვების სხვა ქრონიკული დაავადებების დროს სტატიკური სუნთქვითი ვარჯიში აკადმყოფმა დღის განმავლობაში უნდა შეასრულოს 5-10 ჯერ, უმჯობესია, 0,5-1-2 წუთის ხანგრძლივობით.

დინამიკური ხასიათის სუნთქვით ვარჯიშებს, სიარულს, სირბილსა (ფეხით, თხილამურებით) და ცურვის (რაც უმჯობესია სუფთა ჰაერზე სრულდებოდეს) გარდა მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის სუნთქვითი ვარჯიში, რომელიც სრულდება კიდურებისა და ტანის მოძრაობასთან ერთად.

სეირნობის დროს სუნთქვა მოძრაობას უნდა შეეხამოს, მაგალითად, ჩასუნთქვა ოთხ ნაბიჯზე, დაყოვნება ორი ნაბიჯის შემდეგ. ამოსუნთქვა ოთხი ნაბიჯის გავლისა და კვლავ დაყოვნება ორი ნაბიჯის შემდეგ. ჯანმრთელი ადამიანისათვის კი სიარულის დროს დასაშვებია 5-6 ნაბიჯზე შესუნთქვა, 5-6 ნაბიჯზე სუნთქვის დაყოვნება (შეკავება), ხოლო 5-6 ნაბიჯზე — ამოსუნთქვა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ გადახრის, განსაკუთრებით გულისა და ფილტვების დაავადებათა შემთხვევაში, სიარულის დროს რეკომენდებულია ჩასუნთქვა 4 თვლაზე, ამოსუნთქვა — 6-ზე, ან 2-3 ნაბიჯზე შესუნთქვა, ხოლო 3-4 ნაბიჯზე — განსანგრძლივებული ამოსუნთქვა.

გარეგანი სუნთქვითი ფუნქციის სრულყოფის მიზნით გარდა ზემოაღნიშნული კლასიკური სუნთქვითი ვარჯიშისა გამოიყენება ადგილთევე ჩინური და ინდური (იოგების) სისტემით ვარჯიშები. ჩინური ტანვარჯიში უპირატესად ხანშიშესულთათვის გამოდგება, მაგრამ იგი აუცილებლად სპეციალისტი ექიმის კონტროლით უნდა ტარდებოდეს. განსაკუთრებული გავრცელება პოვა ხათხიოგების სუნთქვითმა ვარჯიშებმა, რაც, სამწუხაროდ, გულით ავადმყოფებისათვის (განსაკუთრებით იშემიური დაავადებით) ყველა შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის.

ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორი სუნთქვა ჯანმრთელობაა, ხოლო ეს უკანასკნელი კი ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და შრომისუნარის გაზრდას გულისხმობს.

რ. სვანიშვილი,

რესპუბლიკური სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე, სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

სურათზე: თბილისის საკვანძო სადგურის ახალი ვაგზალი.

ა. სააკოვის ფოტო.

იწყება

პირველი ეტაპი

28 თებერვალს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იწყება ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების პირველი ეტაპი. გუნდები დაყოფილი არიან რვა ჯგუფად. ჯგუფებში ერთ წრედ გამართულ ტურნირებში გამარჯვებული კოლექტივები შექმნიან მეოთხედფინალურ ჯგუფს და ამ ეტაპიდან ოლიმპიური სისტემით იასპარეზებენ. თბილისის ჯგუფში მეოთხედფინალის საგზურისათვის იბრძოლებენ თბილისის „დინამო“, ეოროშილოვგრადის „ზარია“, დონის როსტოვის არმიელთა გუნდი, ქუთაისის „ტორპედო“, სვერდლოვსკის „ურალმაში“ და ლენინგრადის „დინამო“. თბილისის დინამოელები ყველა მატჩს გამართავენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. ამ ჯგუფის გუნდების დანარჩენი შეხვედრები გაიმართება თბილისის „ლოკომოტივისა“ და რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონებზე.

თბილისის დინამოელთა სათასო მატჩების განრიგი ასეთია:

28 თებერვალი. ოთხშაბათი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლენინგრადი).

8 მარტი. შაბათი. „დინამო“ (თბილისი) — „ზარია (ეოროშილოვგრადი).

6 მარტი. სამშაბათი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი).

9 მარტი. პარასკევი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

12 მარტი. ორშაბათი. „დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი).

მატჩები თბილისელთა მონაწილეობით 18 საათზე დაიწყება.

მედლებით დაბრუნდნენ

კიროვაკანში დამთავრდა პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, სადაც დიდი წარმატება მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა. ოქროს მედლები მოიხვეჭეს განთიადელებმა გ. ცერცვაძემ (48 კგ) და ვ. გელაშვილმა (90 კგ), ლოკომოტიველმა მ. ჯანელიძემ (82 კგ) და ბურევესტნიკელმა ზ. ვარდოშვილმა (ძმიმე წონა). ვერცხლის მედლები წილად ხვდათ განთიადელ ნ. როსტაბაშვილს (74 კგ), ბურევესტნიკელ ო. ებანოიძეს (100 კგ) და განთიადელ პ. გოგსაძეს (ძმიმე წონა).

ოთხი ფინალისტი

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის დიდ დარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოჭიდრაკეთა გუნდური პირველობის ზონალური ტურნირი. ბოლო ტურში ამიერკავკასიელებმა დაამარცხეს ბალტიისპირელები ანგარიშით 5:2 და 37 ქულით ! ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ოდესელები (34 ქულა), მესამეზე — მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები (33), მეოთხეზე — მოსკოვის სპორტული ფლოტის (30). ეს ოთხი გუნდი მონაწილეობას მიიღებს შეიარაღებული ძალების პირველობის ფინალში, რომელიც ალმა-ათაში გაიმართება (სექტემბერში). დაფების მიხედვით ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ნონა გაფრინდაშვილს. მან 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა.

კვლავ მეოთხეზე

ტაშკენტში გრძელდება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები. მერვე ტურში თბილისის „დინამომ“ დამარცხა კასპის წითელდროშოვანი ფლოტილის (ბაქო) გუნდი ანგარიშით 6:5. მეცხრე ტურში თბილისელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მოსკოვის უნივერსიტეტის ძლიერ კოლექტივს და მხოლოდ ერთი გოლის სხვაობით დათმეს შეხვედრა — 9:10.

ცხრა ტურის შემდეგ დაუმარცხებლად მხოლოდ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი იბრძვის. სტუდენტებმა 18 შესაძლებლიდან 17 ქულა დააგროვეს. მეორე-მესამე ადგილებზე არიან მოსკოვის „დინამო“ და სამხედროსაზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (15-15 ქულა). თბილისის „დინამო“ 12 ქულით კვლავინდებურად მეოთხე ადგილზეა. მას თითო ქულით ჩამორჩებიან კიევის „დინამო“ და მინსკის „ბურევესტნიკი“.

სატურნირო ორბიტაზე

◆ **ბაღდადი.** მიუნხენში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი. მსოფლიოს ჩემპიონმა ა. კარპოვმა პირველ ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ისლანდიელ გ. სიგურიოსონთან. ი. ბალაშოვმა მოუგო ა. ადორიანს (უნგრეთი), ბ. სპასკიმ — ჰ. ლაუს (გერ).

◆ **კალათბურთი.** სსრ კავშირის ნაკრებმა ამერიკაში ტურნეს პირველი მატჩი მოუგო ქალაქ ლუისვილის უნივერსიტეტის (კენტუკის შტატი) გუნდს — 91:76.

◆ **ფეხბურთი.** იუგოსლავიის ქალაქ კიკინდაში სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები შეხვდა ადგილობრივ „ოფკ“-ს და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. მოსკოვის დინამოელებმა კი ამერიკული ტურნეს ბოლოსწინა ტურის შეხვედრა გამართეს ქალაქ ანაჰეიმში „კალიფორნია სურფთან“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

27 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — (მ.), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — მოსწავლეთათვის — „ნორჩი ტექნიკოსები“, 18.45 — „პირველად ხევსურეთში“, 19.05 — „საბჭოთა აჯარა არჩევნების წინ“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00— კინოჟურნალი, 20.10 — „გლობუსი“ (ფ.), 21.00 — „მომბმე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ტრუფალდინო ბერგამოდან“. II სერია. (ფ.).

რადიო

28 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. ფარცხალაძე. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „გაკაძლიერთან მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის ხელშემწყობი პარტიული კომისიების მუშაობა“, 12.15 — ფრანგული სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — შ. პეტეფის ლექსები, 12.30 — უკრავს ლ. ისაკაძე, 13.40 — ი. ბობოხიძე. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ა. ბელიაშვილი — „ვეფხვი ხალიბაური“ (გაგრძელება), 14.20 — ს. რახმანინოვი. კამერული ნაწარმოებები 17.15 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: „ტორპედო“ (ქუთაისი)-ასკ (როსტოვი). რეპორტაჟი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონიდან, 17.45 — საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდის კონცერტი, 18.00 — „ჩვენი კრიტიკული გადაცემების კვალდაკვალ“, 18.20 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“, 19.00 — სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: თბილისის „დინამო“-ლენინგრადის „დინამო“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „შენი თანატოლი“ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ვ. ანანიძე, 23.30 — მოსკოვის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი

27 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა (პრემიერა. VI აბონ. II წარმ.); **შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რიჩარდ მესამე; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პანორამისა; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა.**

ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(ა. წერეთლის გამზ. № 2).
28 თებერვალს

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება
„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლენინგრადი)
დასაწყისი საღამოს 18 საათზე.
ბილეთები გაიყიდება 28 თებერვალს დღის 12 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.
ფასია 1978 წლის ყველა საშვი. ადგილები დაუნომრავია.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი, ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი, პროცესებისა და აპარატების კათედრა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უხუცესი თანამშრომელი, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პროფესორი

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ივანოვი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 02047 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კრაუსში. ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17